ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements განთავსებული „ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) მე-15 მუხლის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. ხელშეკრულების 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის მე-8 ქვეპუნქტის რედაქცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

   „27.3.8. როგორც წინამდებარე ხელშეკრულების 27.3.7 პუნქტით განსაზღვრულ, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი, ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების დასაფარად, ანგარიშიდან რიცხავს ან/და ანგარიშიდან გააქვს თანხა, ამავე ანგარიშზე თანხის უკან დაბრუნების (ჩარიცხვის/შეტანის) მიზნით, კლიენტის მიერ ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკი აღნიშნულ თანხას მიმართავს კლიენტის ვალდებულების შესასრულებლად. ხსენებულთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებას კლიენტი შეძლებს ბანკის დისტანციური არხების (სატელეფონო სერვისცენტრით/ინტერნეტბანკით/მობაილ ბანკით და სხვ.) მეშვეობით.“

2. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ცვლილება ძალაში შედის ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.